

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2011, №10-12

სისხლის

სამართლის

პროცესი

საძიებელი

განაჩენის გაუქმება და საქმის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის

პირის დაზარალებულად ცნობა

საპროცესო შეთანხმება

საფოსტო გზავნილებზე დადებული ყადაღის მოხსნა

განაჩენის გაუქმება სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმის ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემა

განაჩენში ცვლილებების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ

განაჩენში ცვლილების შეტანა სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენების გამო

განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებებით

**განაჩენის გაუქმება და საქმის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება საქმის
გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის**

განჩინება

1432-აპ-11

5 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 აპრილის განაჩენით ს. ქ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქ/პუნქტით, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 8 თვის ვადით, რაც, საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 15000 ლარის ოდენობით.

ს. ქ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 24 სექტემბრიდან.

განაჩენის მიხედვით, ს. ქ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2010 წლის 16 სექტემბერს, თხუთმეტი და თექვსმეტი საათების შუალედში, ს. ქ-ა თანმხლებ ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად ქვეითად გადაადგილდებოდა ქ. თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, სადაც მათ ჩაუარეს შ. ს-ს, მ. ე-სა და პ. ხ-ს, რომლებიც ერთმანეთს სიტყვიერად ეხუმრებოდნენ. მათი ხუმრობა ს. ქ-მ მიიღო შეურაცხყოფელად, რის გამოც მან მ. ე-ს ხელი ჩავლო პერანგის საყელოში და ხმამაღალი ტონით მოსთხოვა მას და მის თანმხლებ პირებს სალაპარაკოდ გადაწველება მისთვის სასურველ ადგილას. ს. ქ-ს მოთხოვნას არ დაეთანხმა მ. ე-ი, რის გამოც ს. ქ-მ მას ხელი გაართყა სახის არეში და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რითაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა. ს. ქ-ს მიერ გამოწვეული კონფლიქტი ახალგაზრდებს შორის გადაიზარდა ჩხუბში, რომელიც გაგრძელდა რამდენიმე წუთს. ასევე ს. ქ-ს თანმხლებმა პირმა პ. ხ-სა და შ. ს-თან ჩხუბის დროს დანით დაზიანებები მიაყენა ხსენებულ ახალგაზრდებს, რის შემდეგაც ისინი მიიმალნენ.

ს. ქ-ს თანმხლები პირის მიერ შ. ს-სათვის მიყენებული დაზიანება მარცხენა ბარძაყის არეში აღმოჩნდა მსუბუქი ხარისხის, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ხოლო პ. ხ-სათვის გულმკერდის მიდამოში მიყენებული ჭრილობა მიეკუთვნება დაზიანებათა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ს. ქ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-მ, რომელიც საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ: სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსაზღვრას ვადით – 190 საათამდე, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის – მოხსნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ს. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ს. ქ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაგზავნას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ივლისის განაჩენი ს. ქ-ს მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გარკვეოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, სრულად არ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ს. ქ-ს მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოიძიებთ მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ს. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ივლისის განაჩენი ს. ქ-ს მსჯავრდების თაობაზე გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირის დაზარალებულად ცნობა

განჩინება

1598-აპ-11

27 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულ მ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 იანვრის განაჩენით ლ. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 5000 ლარი, როგორც დამატებითი სასჯელი. ლ. ო-ს სასჯელის მოხდა უნდა აეთვალოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან.

დაზარალებულ ი. ა-ს სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. სამოქალაქო მოპასუხე ლ. ო-ს სამოქალაქო მოსარჩელე ი. ა-ს სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 10000 აშშ დოლარის გადახდა.

დაზარალებულ ა. თ-ს სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. სამოქალაქო მოპასუხე ლ. ო-ს სამოქალაქო მოსარჩელე ა. თ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 10000 აშშ დოლარის გადახდა.

დაზარალებულ გ. რ-ს სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. სამოქალაქო მოპასუხე ლ. ო-ს სამოქალაქო მოსარჩელე გ. რ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 8800 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს სსსკ-ის მე-40 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მ. ე-ს სამოქალაქო სარჩელის გამო შეწყდა სასარჩელო წარმოება.

საქართველოს სსსკ-ის მე-40 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე კ. ბ-ს სამოქალაქო სარჩელის გამო შეწყდა სასარჩელო წარმოება.

განაჩენის მიხედვით, ლ. ო-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. სხვისი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით; წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შემენა და გასაღება ავტომობილის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ლ. ო-ი 2003 წელს ატარებდა გვარს „ბ-ე“ და იყო ავტომალაზიის – შპს „...“ დირექტორი. მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომანქანა „იავუარი“, სახ.1..., რომელიც 2003 წლის 27 დეკემბერს ქ. თბილისში, უზნაძის ქ.1...-ში მდებარე ავტომალაზია – შპს „...“ 25000 აშშ დოლარად გაასალა საქართველოს მოქალაქე კ. ბ-ზე, მაშინ, როდესაც აღნიშნული ავტომანქანა 2003 წლის 31 დეკემბრიდან ირიცხება ინტერპოლის გენერალური სამდივნოს გატაცებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მონაცემთა ბაზაში და მისი ძებნის ინიციატორია რუსეთის ინტერპოლი.

2004 წლის 30 დეკემბერს ლ. ო-მა, ჰქონდა რა თაღლითურად, არაერთგზის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლების განზრახვა, მოქალაქე თ. ლ-საგან, თითქოსდა რეალიზაციის მიღების მიზნით, მიიღო თ. ლ-ს კუთვნილი ორი ავტომანქანა – „კრაისლერ სერბინგი“, სახ.1... და ... იმავე დღეს მან თ. ლ-სთან გააფორმა ორი კონტრაქტი – 1... და 1..., რომელთა თანახმადაც, მას ავტომანქანები უნდა გაეყიდა 2005 წლის 30 მარტამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ლ. ო-ი თ. ლ-ს გადაუხდიდა 19000 აშშ დოლარს. ლ. ო-მა ზემოაღნიშნული ავტომანქანები გაყიდა, ხოლო მიღებული თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა.

მანვე 2005 წლის 4 მარტს, სიტყვიერი მოლაპარაკების შესაბამისად, თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე ავტობაზრობაზე, ი. ა-საგან გასაყიდად დაიტოვა ავტომანქანა «აუდი 8», სახ.1... მოლაპარაკების თანახმად, ლ. ო-ს ი. ა-სათვის ორი თვის ვადაში უნდა გადაეცა მანქანის საფასური – 10200 აშშ დოლარი. ვინაიდან ამ პერიოდში ლ. ო-ს მევალები აწუხებდნენ, მან განზრახა გაეყიდა ზემოაღნიშნული ავტომანქანა და რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან ი. ა-ს მოსთხოვა ამ ავტომანქანაზე გადაეცა მინდობილობა თავის ნაცნობ ა. ს-ზე მართვის, განკარგვისა და გადანდობის უფლებით. რადგან უსახსრობის გამო ი. ა-ს ავტომანქანა გაფორმებული არ ჰქონდა, მისი თანხმობით, ზემოაღნიშნული ავტომანქანის ყოფილმა მფლობელმა დ. პ-მა 2005 წლის 9 მარტს ნოტარიუსის მეშვეობით გასცა მინდობილობა ა. ს-ზე. ამის შემდეგ ა. ს-მა დაახლოებით ერთ თვეში, ლ. ო-ს მოსთხოვნით, ავტომანქანა 10000 აშშ დოლარად მიჰყიდა მოქალაქე რ. მ-ს. მითითებულ თანხას ლ. ო-ი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა და მიიძალა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ლ. ო-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

დაზარალებულ მ. ე-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას დაზარალებულ ი. ა-სათვის საქმეზე დართული ნივთმტკიცების გადაცემის ნაწილში და ამ ნაწილში საქმის გადაცემას ხელახალი განხილვისათვის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, 2008 წლის 6 ივნისს წინასწარი გამოძიების მიერ ლ. ო-ს სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად იქნა ცნობილი მ. ე-ე. 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში ლ. ო-ს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მ. ე-ე მონაწილეობდა დაზარალებულის სტატუსით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2011 წლის 27 ოქტომბერს მსჯავრდებულ ლ. ო-ს მიმართ გამოტანილი განაჩენი დაზარალებულ ი. ა-სათვის საქმეზე

დართული ნივთმტკიცების გადაცემის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულმა მ. ე-მ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით მსჯავრდებულ ლ. ო-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ლ. ო-ი 2003 წელს ატარებდა გვარს „ბ-ე“ და იყო ავტომანქანის – შპს „...“ დირექტორი. მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომანქანა „იაგუარი“, სახ.1..., რომელიც 2003 წლის 27 დეკემბერს ქ. თბილისში, უზნაძის ქ.1...-ში მდებარე ავტომანქანა – შპს „...“ 25000 აშშ დოლარად გაასადა საქართველოს მოქალაქე კ. ბ-ზე, მაშინ, როდესაც აღნიშნული ავტომანქანა 2003 წლის 31 დეკემბრიდან ირიცხება ინტერპოლის გენერალური სამდივნოს გატაცებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მონაცემთა ბაზაში და მისი ძებნის ინიციატორია რუსეთის ინტერპოლი.

2004 წლის 30 დეკემბერს ლ. ო-მა, ჰქონდა რა თაღლითურად, არაერთგზის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლების განზრახვა, მოქალაქე თ. ღ-საგან, თითქოსდა რეალიზაციის მიღების მიზნით, მიიღო თ. ღ-ს კუთვნილი ორი ავტომანქანა – „კრისლერ სებრინგი“, სახ.1... და იმავე დღეს მან თ. ღ-სთან გააფორმა ორი კონტრაქტი – 1... და 1..., რომელთა თანახმადაც, მას ავტომანქანები უნდა გაეყიდა 2005 წლის 30 მარტამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ლ. ო-ი თ. ღ-ს გადაუხდიდა 19000 აშშ დოლარს. ლ. ო-მა ზემოაღნიშნული ავტომანქანები გაყიდა, ხოლო მიღებული თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა.

მანვე 2005 წლის 4 მარტს, სიტყვიერი მოლაპარაკების შესაბამისად, თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე ავტობაზრობაზე, ი. ა-საგან გასაყიდა დაიტოვა ავტომანქანა «აუდი 8», სახ.1.... მოლაპარაკების თანახმად, ლ. ო-ს ი. ა-სათვის ორი თვის ვადაში უნდა გადაეცა მანქანის საფასური – 10200 აშშ დოლარი. ვინაიდან ამ პერიოდში ლ. ო-ს მევალები აწუხებდნენ, მან განზრახა გაეყიდა ზემოაღნიშნული ავტომანქანა და რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან ი. ა-ს მოსთხოვა ამ ავტომანქანაზე გადაეცა მინდობილობა თავის ნაცნობ ა. ს-ზე მართვის, განკარგვისა და გადანდობის უფლებით. რადგან უსახსრობის გამო ი. ა-ს ავტომანქანა გაფორმებული არ ჰქონდა, მისი თანხმობით, ზემოაღნიშნული ავტომანქანის ყოფილმა მფლობელმა დ. პ-მა 2005 წლის 9 მარტს ნოტარიუსის მეშვეობით გასცა მინდობილობა ა. ს-ზე. ამის შემდეგ ა. ს-მა დაახლოებით ერთ თვეში, ლ. ო-ს მოთხოვნით, ავტომანქანა 10000 აშშ დოლარად მიჰყიდა მოქალაქე რ. მ-ს. მითითებულ თანხას ლ. ო-ი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა და მიიმალა.

1-ელი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა დადგინებულად ცნეს ლ. ო-ს მიერ ზემოხსენებული დანაშაულებრივი ქმედება.

ზემოაღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებაში საერთოდ არ ფიგურირებს მ. ე-ე, შესაბამისად, არ ჩანს ლ. ო-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად რა სახისა და ოდენობის ზიანი მიადგა საქმეზე დაზარალებულად ცნობილ მ. ე-ს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 68-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განჩინების (დადგენილების) გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, გააუქმოს ეს განჩინება (დადგენილება).

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. ო-ს ბრალდების საქმეზე უნდა გაუქმდეს 2008 წლის 6 ივნისის დადგენილება მ. ე-ს დაზარალებულად ცნობის თაობაზე. ზემოაღნიშნულის გამო, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მ. ე-ს უფლება აქვს, ნივთიერი მტკიცებულების კუთვნილების გამო, იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 124-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს 2008 წლის 6 ივნისის დადგენილება მ. ე-ს დაზარალებულად ცნობის თაობაზე. მ. ე-ს დარჩეს უფლება, ნივთიერი მტკიცებულების კუთვნილების გამო, იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო შეთანხმება

განაჩენი

1518-აპ-11

21 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 აპრილის განაჩენით ლ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «დ», «ე» ქვეპუნქტებით – 10 წლით, ხოლო 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, ლ. ნ-ს სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იმავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი, 9 თვე, 13 დღე და ლ. ნ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 13 წლით, 9 თვითა და 13 დღით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 10 დეკემბრიდან.

ლ. ნ-ს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 10 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით ლ. ნ-ს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ; ასევე ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვაში არაერთგზის და იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით ლ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა – 2500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რაც მას არ გადაუხდია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 აპრილის განაჩენით ლ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ლ. ნ-ე არ დაადგა გამოსწორების გზას და გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით – 0,0209 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი, საიდანაც ნაწილი – 0,0070 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი უკანონოდ შეინახა პირადად, ხოლო ნაწილი, დიდი ოდენობით – 0,0139 გრამი, 2010 წლის 10 დეკემბერს თბილისში უკანონოდ გაასალა თავის ნაცნობ დ. კ-ე, რაც პოლიციამ ამოიღო მისი პირადი და ასევე მისი ავტომანქანის ჩხრეკისას.

2010 წლის 10 დეკემბერს საქართველოს შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, მელიტონ ქანთარია ქუჩის 1...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ლ. ნ-ე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0,0070 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ფხვნილი. იმავე დღეს ლ. ნ-ს ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ნ-მ. აპელანტმა ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 აპრილის უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ლ. ნ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა საჩივრით ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

2011 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა დ. მ-მა, საქართველოს სსკ-ის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „დ“, „ე“ ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასსა და მსჯავრდებულ ლ. ნ-ს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობის ხარისხი, ასევე ის გარემოება, რომ მსჯავრდებულმა ლ. ნ-მ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან, საჯარო ინტერესების დაცვით, იმისათვის, რომ მაქსიმალური ეფექტურობით იქნეს გამოყენებული სახელმწიფო რესურსები, 2011 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დ. მ-ს შორის წერილობით გააფორმა ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ იქნა შეთანხმებული ზემდგომ პროკურორთან.

2011 წლის 21 ოქტომბერს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა დ. მ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულ ლ. ნ-ს შორის 2011 წლის 13 ოქტომბერს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. მ-სა და მსჯავრდებულ ლ. ნ-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა დ. მ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებულ ლ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულისათვის განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი, ხოლო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით, იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად განესაზღვროს 5 წლით, 2 თვითა 17 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 18 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით აღნიშნულ სასჯელს უნდა დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი, 9 თვე, 13 დღე და საბოლოოდ ლ. ნ-ს უნდა განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა – 20 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ლ. ნ-ს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 10 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა ლ. ნ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. შ-მ.

სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე, საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ლ. ნ-ის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: დ. მ-ს, ზ. გ-ს, ზ. მ-ს, გ. ლ-ს, დ. კ-ს, უ. თ-ს, ი. კ-ს, ზ. შ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ნარკოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით ლ. ნ-ს მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ ლ. ნ-ს მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებული ლ. ნ-ე აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი კონსტიტუციური უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა სწორი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულს გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ დ. მ-ის შუამდგომლობა მსჯავრდებულ ლ. ნ-ის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის I ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და 209-ე-216-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. მ-სა და მსჯავრდებულ ლ. ნ-ს შორის.

ლ. ნ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსსკ-ის 273-ე მუხლით ჯარიმა – 2.000 ლარი, სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «დ», «ე» ქვეპუნქტებით, იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით – 5 წლით, 2 თვითა და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, სსსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 18.000 ლარი.

საქართველოს სსსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილების გამოყენებით ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წელი, 9 თვე, 13 დღე და ლ. ნ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 20.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ლ. ნ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწესოს 2010 წლის 10 დეკემბრიდან.

ლ. ნ-ს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 10 წლით – საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

აღნიშნული უფლებების ჩამორთმევის შესახებ ეცნობოს შესაბამის უწყებებს.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ლ. ნ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული 0,0070 გრამი „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საფოსტო გზავნილებზე დადებული ყადაღის მოხსნა

განჩინება

1200-აპ

3 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჩჩგ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 18 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის განაჩენით გ. გ-ე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. იმავე განაჩენით გ. გ-ს დაზარალებულ ლ. ა-ს სასარგებლოდ დაეკისრა 3 200 ლარის გადახდა.

განაჩენით გ. გ-ს მსჯავრი დაედო თაღლითობისათვის, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

ქ. საჩხერეში, ... ქ. 110-ში მცხოვრები გ. გ-ე გარკვეული დროის განმავლობაში ვაჭრობდა ქ. ფოთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ბაზარში, სადაც იგი რამდენჯერმე შეხვდა ახალციხის რაიონის სოფელ ...-ში მცხოვრებ ლ. ა-ს, რომელსაც აღნიშნულ ბაზარში სარეალიზაციოდ დაჰქონდა კარტოფილი. ლ. ა-ს მიერ ბაზარზე გასაყიდად მიტანილ პროდუქტს გ. გ-ე მისგან ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდულობდა, რითაც დროთა განმავლობაში მოიპოვა ლ. ა-ს ნდობა. ამასთანავე, შეიტყო ლ. ა-ს საცხოვრებელი მისამართი.

2007 წლის დეკემბერში გ. გ-მ გადაწყვიტა ქ. ფოთიდან ახალციხის რაიონის სოფელ ...-ში ლ. ა-თან ჩასვლა და მისგან ნისიად კარტოფილის წაღება.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გ. გ-ე 2007 წლის 20 დეკემბერს ქ. ბათუმში, ... ქ. 113-ში მცხოვრებ რ. ბ-ის კუთვნილი, დაქირავებული სატვირთო ავტომანქანა „მერსედეს ბენციო“, სახელმწიფო¹, ჩავიდა ახალციხის რაიონის სოფელ ...-ში, ლ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, სადაც მოტყუებით, თაღლითურად მისაკუთრა ლ. ა-ის კუთვნილი 3200 ლარის ღირებულების კარტოფილი და მიიმალა, რითაც დაზარალებულს მიაყენა 3200 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ს დასწრების გარეშე, ვინაიდან იგი იყო ძებნილი. გ. გ-მ დააკავეს 2010 წლის 29 ნოემბერს და შეასახლეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის 18 დაწესებულებაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. გ-მ.

იგი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მან თანხის ნაწილი, კერძოდ კი – 1200 ლარი მალევე გადაუხადა ლ. ა-ს. ხოლო ვინაიდან ფინანსური პრობლემები ჰქონდა, დაურეკა და შესთავაზა დარჩენილი თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა. აღნიშნული თანხის მითვისების მიზანი მას არ ჰქონია. კარტოფილის ნისიად წაღება კი თვითონ ლ. ა-მა შესთავაზა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 18 თებერვლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. გ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 18 თებერვლის განაჩენის გაუქმებას, ვინაიდან იგი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. გ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. გ-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც სრულად იქნა გამოკვლეული პირველი ინსტანციის სასამართლოში და რითაც უტყუარად არის დადასტურებული გ. გ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა. საკასაციო პალატას ასევე მიაჩნია, რომ მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს სამართლიანი სასჯელი, რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არც მსჯავრდებული გ. გ-ე უცვნიათ სამოქალაქო მოპასუხედ და არც დაზარალებული ლ. ა-ი – სამოქალაქო მოსარჩელედ, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილნი, რომ მსჯავრდებულ გ. გ-თვის დაზარალებულ ლ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრებინათ 3200 ლარის გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ მოიპოვება დადგენილება არც გ. გ-ის სამოქალაქო მოპასუხედ და არც ლ. ა-ის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ გ. გ-თვის დაზარალებულ ლ. ა-ის სასარგებლოდ 3200 ლარის დაკისრების თაობაზე, ხოლო ლ. ა-ს უნდა დარჩეს უფლება, აღნიშნულ თანხაზე იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს სსსკ-ის 331-ე მუხლის თანახმად, უნდა გაუქმდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის ბრძანება ბრალდებულ გ. გ-ის საფოსტო გზავნილებზე ყადაღის დადებისა და ამოღებისათვის ნებართვის გაცემის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 331-ე მუხლით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 18 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ გ. გ-თვის დაზარალებულ ლ. ა-ის სასარგებლოდ 3200 ლარის დაკისრების თაობაზე, ხოლო ლ. ა-ს დარჩეს უფლება, აღნიშნულ თანხაზე იდაოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამასთან, გაუქმდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის ბრძანება ბრალდებულ გ. გ-ის საფოსტო გზავნილებზე ყადაღის დადებისა და ამოღებისათვის ნებართვის გაცემის თაობაზე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმის ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემა

განჩინება

1368-აპ-11

3 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. გ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. მ-ის, ასევე დაზარალებულ მ. ქ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ს. კ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენით კ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით – 9 წლით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, კ. გ-ეს სასჯელად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ კ. გ-ეს სასჯელის ვადაში ჩათვალა საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დრო – 2010 წლის 25 მაისიდან 2010 წლის 27 ნოემბრამდე.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 27 ნოემბრიდან.

მ. ქ-ის სამოქალაქო სარჩელი მოპასუხე კ. გ-ის მიმართ დარჩა განუხილველი.

განაჩენით კ. გ-ეს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-შენახვა-ტარებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის აპრილში, სადამოს საათებში, თბილისში, პოკერ-კლუბ «...-ში» შევიდნენ ბ. დ-ი და აწ გარდაცვლილი მ. ყ-ი, რომლებმაც კლუბში მომუშავე ოპერატორ ლ. ს-ს სთხოვეს ყავის მოდუღება, რა დროსაც დაცვის თანამშრომელმა მ. ქ-მა მათ განუცხადა, რომ ყავას მოუდუღებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ითამაშებდნენ სათამაშო აპარატებზე. ამაზე განაწყენებულმა ბ. დ-მა და მ. ყ-მა მ. ქ-ს უთხრეს, რომ იყვნენ ... ქუჩის 1... სახლში მცხოვრებნი და არასოდეს არ ჰქონიათ პრობლემა კლუბის მომსახურე პერსონალთან. მათი საუბარი გადაიხარდა კამათსა და კონფლიქტში. სიტუაციის განმუხტვის მიზნით, მ. ქ-მა დაცვის სხვა თანამშრომლების დახმარებით შეძლო ზემოხსენებული პირების გაყვანა პოკერ-კლუბის შენობიდან.

მომხდარის შესახებ ცნობილი გახდა პოკერ-კლუბის ეზოში მცხოვრებ კ. გ-თვის, რომელიც მომხდარი ფაქტის გასარკვევად მივიდა დაცვის თანამშრომლებთან, გამოთქვა უკმაყოფილება თავისი მეგობრების – ბ. დ-სა და მ. ყ-ის კლუბიდან გაძევების გამო, რასაც მოჰყვა ჩხუბი კ. გ-სა და მ. ქ-ს შორის, რის შემდეგაც კ. გ-ე იძულებული გახდა, დაეტოვებინა კლუბის ტერიტორია.

2006 წლის 12 მაისს, დაახლოებით დილის 5 საათზე, პოკერ-კლუბ «...-ში» კვლავ შევიდა ნასვამი მ. ყ-ი, რომელიც მიუჯდა სათამაშო აპარატს, მოგვიანებით კი დაიწყო გინება, რის გამოც მ. ქ-ის შენიშვა დაიშინა. ამ დროს დარბაზში იმყოფებოდა ოპერატორი ლ. ს-ი. განაწყენებულმა მ. ყ-მა გაიხსენა აპრილის თვეში მომხდარი ინციდენტი და გამოთქვა უკმაყოფილება მ. ქ-ის ქცევასთან დაკავშირებით. მ. ქ-მა იგი ძალის გამოყენებით გაიყვანა სათამაშო დარბაზიდან. მომხდარის შესახებ მ. ყ-მა აცნობა კ. გ-ეს და სხვა პირებს, რომლებმაც გადაწყვიტეს სამაგიერო გადაეხადათ მ. ქ-თვის. დაახლოებით 30 წუთის შემდეგ კ. გ-ე, მ. ყ-ი და გამოძიებით დაუდგენელი პირები ანგარიშსწორების მიზნით მივიდნენ პოკერ-კლუბში. კ. გ-მ შესვლისთანავე მ. ქ-ს უთხრა, რომ „ეხლა მაინც მოგკლავო“ და ამოიღო „მაკაროვის“ სისტემის 9მმ კალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღი. შეშინებული მ. ქ-ი შებრუნდა და გაიქცა კლუბის დირექტორის კაბინეტის მიმართულებით. კ. გ-მ „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა მ. ქ-ის მიმართულებით, რის შედეგადაც დაჭრა იგი მარცხენა ხელის იდაყვში. დაჭრილმა მ. ქ-მა შეძლო დირექტორის კაბინეტში შესვლა, რა დროსაც მას მიუახლოვდა კ. გ-ე და დამიზნებით ესროლა თავის არეში, რის შედეგადაც მ. ქ-ი წაიქცა. კ. გ-ე დარწმუნებული იყო, რომ კიდევ ჰქონდა გასროლის შესაძლებლობა, მივიდა დაჭრილთან, შეეცადა პისტოლეტიდან შეესრულებინა საკონტროლო გასროლა, გამოჰკრა სასხლეტს, რაც ვედარ განახორციელა საბრძოლო მასალის გახარჯვის გამო. დანაშაულის ჩადენის შემდეგ კ. გ-ე და მასთან მყოფი პირები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაჭრილი მ. ქ-ი გადაიყვანეს თბილისის 11 კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და იგი გადაურჩა სიკვდილს. კ. გ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მ. ქ-მა მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებები – თავის ტვინის გამჭოლი ცეცხლსასროლი ჭრილობა და მარცხენა იდაყვის ძვლის მოტეხილობა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულმა მ. ქ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ს. კ-მ. აპელანტებმა სააპელაციო საჩივრით ითხოვეს სამოქალაქო მოპასუხე კ. გ-ის მოსარჩელე მ. ქ-ის სასარგებლოდ მკურნალობის ხარჯების – 2526.94 ლარის, ერთჯერადი კომპენსაციის – 558.000 ლარის, ხოლო სულ – 560.500 ლარის დაკისრება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ასევე მსჯავრდებულმა კ. გ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-ემ. აპელანტებმა ითხოვეს მსჯავრდებულის გამართლება იმაზე მითითებით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რომელიც ეყრდნობა დაუსაბუთებელ ვარაუდებს, მტკიცებულებებზე და გამოყენებულია ცრუ მოწმეთა ჩვენებები, საქმის განხილვისა და გადაწყვეტისას არსებითად დაირღვა სათანადო სამართლებრივი პროცედურები. განაჩენი ძირითადად ეყრდნობა დაზარალებულ მ. ქ-ის ჩვენებას, რაც დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან დაზარალებული წინასწარ გამოძიებაში ხუთჯერ არის დაკითხული და მისი ხუთივე ჩვენება ერთმანეთს არსებითად ეწინააღმდეგება.

დაზარალებულ მ. ქ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დააზუსტა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა, რომ სამოქალაქო მოპასუხე კ. გ-ეს სამოქალაქო მოსარჩელე მ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მკურნალობის ხარჯების – 2500 ლარის, ერთჯერადი კომპენსაციის – 180.000 ლარის, ხოლო სულ – 182 500 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-ემ, ასევე დაზარალებულ მ. ქ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ს. კ-ემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

დაზარალებულ მ. ქ-ის ადვოკატმა ს. კ-მ საჩივრით აღნიშნა, რომ რადგან კ. გ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მ. ქ-მა მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებები – თავის ტვინის გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა და მარცხენა იდაყვის ძვლის ცეცხლნასროლი მოტეხილობა, რომელთა შედეგადაც გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, საჭიროებს მუდმივ მომვლელს, სამკურნალო მასაჟს, სარეაბილიტაციო კურსების ჩატარებას, მკურნალობას ნევროპათოლოგსა და ეპიდოროლოგთან. ამდენად, მან ითხოვა ცვლილების შეტანა გასაჩივრებული განაჩენის სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და მოსარჩელე მ. ქ-ის სასარგებლოდ მოპასუხე კ. გ-ის მატერიალური ზიანის – 182.500 (2.500 ლარი – მკურნალობის ხარჯები და 180.000 ლარი – ერთჯერადი კომპენსაცია) ლარის დაკისრება.

მსჯავრდებულმა კ. გ-ემ და მისმა ადვოკატმა თ. მ-ემ საჩივარში აღნიშნეს, რომ დაზარალებულ მ. ქ-ის, მოწმეების: ლ. ს-ის, ვ. ნ-ის, ა. წ-ის, ი. ქ-ის, ზ. ჩ-ის, ბ. დ-ის ჩვენებები და დაზარალებულ მ. ქ-ის მიერ კ. გ-ის ფოტოსურათით ამოცნობის ოქმი არ შეესაბამება სინამდვილეს, ისინი მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით და დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი. ამდენად, მათ ითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულის დაცვის მხარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულის ჩვენებებს შორის ან დაზარალებულის ჩვენებებსა და მოწმეთა ჩვენებებს შორის, ასევე საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს შორის არის არსებითი წინააღმდეგობები და განაჩენი, რომელიც, მათი აზრით, მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით, ეყრდნობა დაუსაბუთებელ ვარაუდებს.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ მ. ქ-ის ჩვენებით, მოწმეების: ლ. ს-ის, ზ. ჩ-ის, ვ. ნ-ის, ა. წ-ის, მ. ქ-ის, ი. ქ-ის, მ. ქ-ის, ბ. დ-ის, გ. შ-ის, ი. რ-ის, კ. რ-ის, გ. ჭ-ისა და შ. ბ-ის ჩვენებებით, 2006 წლის 12 მაისის შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ამოღების, ამოცნობის ოქმებით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ბალისტიკური ექსპერტიზის '6/2-288, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ბიოლოგიური ექსპერტიზის '153/სბ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის '6721/26-200, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის '13454 დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულ კ. გ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და ამ ნაწილში სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

რაც შეეხება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენი სამოქალაქო სარჩელის განუხილველად დატოვების ნაწილში კანონიერია და იგი ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სათანადოდ არ დაადგინეს ზიანის ოდენობა და არ შეამოწმეს განაჩენის კანონიერება სამოქალაქო სარჩელის ნაწილში.

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი:

მოწმე მ. ქ-ი (დაზარალებულის მამა) ჩვენებაში აღნიშნავს: «შემთხვევის მერე მე მივედი ს. გ-სთან (მსჯავრდებულის მამა) და დაველაპარაკე მკურნალობის ხარჯებზე. მან თანხმობა განმიცხადა ფულად დახმარებაზე. ს. გ-ემ მე რამდენჯერმე გადმომცა ფულადი თანხა (თუ რა რაოდენობის, არ მახსოვს). იყო შემთხვევაც, როცა თავისი თანამშრომელი ქალბატონის სახელით საავადმყოფოს ანგარიშზე გადაურიცხავს თანხა, მკურნალობის თანხა რამდენჯერმე საავადმყოფოში მოიტანა მისმა მეგობარმა ვინმე „გ-მ“. ასევე

ჩემთვის ცნობილია, რომ ს. გ-ემ თავისი მეგობრების მეშვეობით ვ. ნ-ეს (დაცვის სამსახურის დირექტორი, სადაც ჩემი შვილი მ. ქ-ი მუშაობდა) გადასცა ფულადი თანხა ჩემი ოჯახის წევრებისათვის გადასაცემად».

მოწმე ი. ქ-ი (დაზარალებულის დედა) კი ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ოპერაციის ფული და მკურნალობის ხარჯები ს. გ-ემ გადაიხადა.

მოწმე ვ. ნ-მე ჩვენებაში აღნიშნავს: «შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ მობილურზე დამირეკეს უცნობმა პირებმა და მთხოვეს შეხვედრა მ. ქ-ის საქმესთან დაკავშირებით. მე მათ შევხვედი რესტორან „...-თან», სადაც მათ ს. გ-საგან გადმომცეს 1000 ლარი მ. ქ-ის ოჯახისთვის გადასაცემად. აღნიშნული თანხა მე გადავეცი მ-ის მამას».

მოწმე გ. შ-ე (მსჯავრდებულის მეგობარი) სასამართლო გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ „არ ვიცი, უწევდა თუ არა დახმარებას გ-ის ოჯახი დაზარალებულს. შემთხვევის შემდეგ (თვე და რიცხვი არ მახსოვს) ჩემთან მოვიდა ს. გ-ის ნათესავი ბ. გ-ე და მთხოვა ჩემი მანქანით საავადმყოფოში წაგვეყვანა მ. ქ-ი. იქ რომ მივედი, რაღაც თანხაზე იყო საუბარი, რომელიც მ-ს ბანკში უნდა შეეტანა, მაგრამ რადგან პირადობის მოწმობა არ აღმოაჩნდა, მ-მა გადმომცა 800 ლარი, რომელიც მე ჩავრიცხე 1-ელი კლინიკური საავადმყოფოს ანგარიშზე», რითაც არ დასტურდება დაზარალებულის სამკურნალო თანხის ს. გ-ის მიერ გადახდის ფაქტი.

ამდენად, საქმეზე არ დადგენილა, რა ოდენობის თანხა აუნაზაღაურა მსჯავრდებულის მამამ – ს. გ-ემ დაზარალებულს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის IV ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. გ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. მ-ისა და დაზარალებულ მ. ქ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ს. კ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 მაისის განაჩენი კ. გ-ის მიმართ სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმის ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემა

განჩინება

1303-აპ-11

2 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. პ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით ი. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე – დოკუმენტის

მართლსაწინააღმდეგო დაზიანება, ჩადენილი ანგარებითა და სხვა პირადი მოტივით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის მაისში ი. გ-ემ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი კუთვნილი თანხის დაუფლება. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მივიდა მეგობართან, რუსთავეში, ...-ის ქ. 1...-ში მცხოვრებ გ. გ-თან. ი. გ-ემ იცოდა, რომ გ. გ-ი ეძებდა ადამიანს, რომელიც გარკვეული თანხის საფასურად თავის ნათესავ ნ. თ-ს დაეხმარებოდა საბერძნეთის ვიზის მიღებაში. ი. გ-ემ დაარწმუნა გ. გ-ი, რომ თავისი სამეგობრო წრის გამოყენებით 3000 აშშ დოლარად „გაუკეთებდა“ საბერძნეთის ვიზას, თუმცა ამისათვის წინასწარ საჭირო იყო 600 აშშ დოლარი და საქართველოს პასპორტი, ხოლო დარჩენილ 2400 დოლარს აიღებდა მას შემდეგ, რაც ნ. თ-ი ჩავიდოდა საბერძნეთში. რადგან გ. გ-ს ხელზე არ ჰქონდა აღნიშნული თანხა, ი. გ-ე შეჰპირდა, რომ დაეხმარებოდა ბინის დაგირავებაში, რათა თანხა სრულად დებულებიყო საბანკო ანგარიშზე. უფრო მეტად რომ მოეპოვებინა ნდობა, ი. გ-ემ ნ. თ-ს გამოართვა ახლად აღებული საქართველოს პასპორტი, ვითომდა საბერძნეთის ვიზის მისაღებად, ხოლო გ. გ-ს დააგირავებინა ბინა და გამოართვა 600 აშშ დოლარი. დაზარალებულთა დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ი. გ-ემ მათ დაუბრუნა დაზიანებული პასპორტი, რომელშიც ამოხეული იყო მე-9 ფურცელი და რომელიც, მისი თქმით, «გაფუჭდა» ბეჭდის არასწორი ჩარტყმის დროს. ამის შემდეგ ი. გ-ე მიიმალა, რითიც დაზარალებულ გ. გ-ს მიაყენა 600 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. გ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით, ხოლო 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად გაუნახევრდა და განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, ი. გ-ეს საბოლოოდ მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე – ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულს სამოქალაქო მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4000 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ა. გ-მა, რომელმაც ითხოვა განაჩენის გაუქმება და ი. გ-ის გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განაჩენით არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: მსჯავრდებულ ი. გ-ეს სამოქალაქო მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 აშშ დოლარის გადახდა. ი. გ-ეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 12 ოქტომბრიდან.

კასატორი – მსჯავრდებულის ადვოკატი ვ. კ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი; იგი დადგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო ყოველგვარი ეჭვი, თუ იგი არ დადასტურდა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით, უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რაც ი. გ-ისათვის წარდგენილ რომელიმე ბრალდებას დაადასტურებს.

კასატორის აზრით, თაღლითობის ბრალდება ემყარება მხოლოდ დაზარალებულ გ. გ-ის ურთიერთსაწინააღმდეგო და წინააღმდეგობრივ ჩვენებებს, რომელთა თანახმად, დ. მ-ემ, ი. გ-ისაგან დამოუკიდებლად, გ. გ-ი და მისი ოჯახის წევრები მიიყვანა სარეგისტრაციო სამსახურში ვითომდა ახალი პასპორტის ასაღებად, რაც არ შეასრულა და დაზარალებულები მოატყუა. თუკი ი. გ-ის ქმედება შეფასდა თაღლითობად, მაშინ დ. მ-ე, რომელმაც უფრო „მეტე ხარისხის“ დანაშაული ჩაიდინა, რატომ გადის ამ საქმეში მხოლოდ და მხოლოდ მოწმედ?! თუკი მას, საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო, ბრალი არ წარედგინა, მაშინ გაუგებარია, ი. გ-ის მსჯავრდებისათვის რატომ არის მტკიცებულებები საკმარისი. ი. გ-ის ერთადერთი „დანაშაული“ არის ის, რომ მან გააცნო გ. გ-ს დ. მ-ე, რომლებიც შემდეგ თვითონ შეუთანხმდნენ ერთმანეთს და ამ შეთანხმებაში ი. გ-ეს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. მას არც ნ. თ-ის პასპორტი სჭერია ხელში და არც თანხა აუღია. სასამართლომ კი უსაფუძვლოდ არ გაიზიარა ი. გ-ის ჩვენება და სარწმუნოდ მიიჩნია დ. მ-ის ცრუ ჩვენებები.

გარდა ამისა, თვით დაზარალებულებიც ვერ ამბობენ, თუ ვინ დააზიანა პასპორტი, რადგან ასეთი რამ მათ არ უნახავთ. დღემდე არ არის დადგენილი, თუ ვინ ამოხია ფურცელი პასპორტიდან, ამიტომ ბრალდება ამ ნაწილში, მტკიცებულებების არარსებობის გამო, მხოლოდ ვარაუდს ეყრდნობა. ასევე გაუგებარია, რატომ დააკისრა სასამართლომ მსჯავრდებულს სამოქალაქო მოსარჩელის სასარგებლოდ 2000 აშშ დოლარის გადახდა. ეს ციფრი არაფრით არ დასტურდება. გ. გ-ის ჩვენებით, მან ი. გ-ეს მისცა 500 აშშ დოლარი. იგი ასახელებს სანოტარო აქტში მითითებული თანხისაგან განსხვავებულ საპროცენტო თანხას. გამოდის, რომ მოსამართლე თვითონ არ იზიარებს და არ ენდობა სანოტარო აქტში მითითებულ თანხას, ხოლო საპროცენტო გათვლა და ანგარიში საიდან დაადგინა, გაუგებარია. ამის გამო განაჩენი სამოქალაქო სარჩელის ნაწილშიც უკანონოა და უნდა გაუქმდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი კ. პ-ა ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განაჩენის გაუქმებას, ი. გ-ისათვის წარდგენილი ბრალდების სრულად მოხსნასა და მის განთავისუფლებას უკანონო პატიმრობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას მსჯავრდებულის უდანაშაულობის შესახებ, კერძოდ:

დაზარალებულ გ. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ ი. გ-ემ საბერძნეთის ვიზის «გასაკეთებლად» მოსთხოვა 3000 აშშ დოლარი. ამ უკანასკნელს წინასწარ გადასცეს ჯერ 500, შემდეგ კი – 100 აშშ დოლარი და პასპორტი. დარჩენილი თანხის გადასახდელად გ. გ-მა იპოთეკით დატვირთა საცხოვრებელი ბინა და თანხა შეინახა ბანკში, თუმცა ამ თანხასაც ითხოვდა ი. გ-ე. მიუხედავად არაერთი დაპირებისა, საბოლოოდ, ი. გ-ემ დაზარალებულს დაუბრუნა პასპორტი და უთხრა, რომ იგი «ბეჭედის ჩარტყმისას» დაზიანდა და ამის ხარჯებს აანაზღაურებდა.

ანალოგიური ჩვენებები მისცეს მოწმეებმა – ც. კ-ემ და ნ. თ-მა. ამ უკანასკნელმა ასევე განმარტა, რომ დაზარალებულს დაუბრუნეს დაზიანებული პასპორტი, რაზეც ი. გ-ემ უთხრა: «ვიზის ბეჭედი ჩავარტყით ცუდად და გაფუჭდა».

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი არ ეყრდნობა მხოლოდ დაზარალებულის ან რომელიმე მოწმის ჩვენებას, იგი გამოტანილია საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით, რის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, კერძოდ:

გ. გ-ის განმარტებით, მან ბინა იპოთეკით დატვირთა და მიიღო 4500 აშშ დოლარი 6 თვის ვადით, ყოველთვიურად სესხის ძირითად თანხაზე 2%-ის დარიცხვით. ამასთან, დაზარალებულმა წინასწარ გადაიხადა სესხად აღებული თანხის 6 თვის სარგებელი – 540 აშშ დოლარი და ძირითადი თანხა დაფარა 2 თვეში. ამავე ჩვენებით, დაზარალებულმა ერთხელ გადაიხადა სესხად აღებული თანხის სარგებელი – 540 აშშ დოლარი, მაგრამ გ. გ-ი იქვე აღნიშნავს, რომ გადაიხადა 1080 აშშ დოლარი. საბოლოოდ, დაზარალებულმა განმარტა, რომ გადაიხადა სესხად აღებული 4500 აშშ დოლარი და ამ თანხის პროცენტი – 1080 აშშ დოლარი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ნაწილობრივ იზიარებდა დაცვის მხარის მოსაზრებას ზიანის ოდენობის დაუზუსტებლობასთან დაკავშირებით და მსჯავრდებულს დაზარალებულის სასარგებლოდ დააკისრა 2000 აშშ დოლარის გადახდა, მაგრამ თანხის არც აღნიშნული ოდენობა დასაბუთებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენით ზიანის ოდენობა სათანადოდ არ დადგენილა და სამოქალაქო სარჩელის ნაწილში მისი კანონიერების შემოწმება შეუძლებელია. ამის გამო, საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენი უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო სასჯელის დანიშვნის ნაწილში – სამართლიანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. გ-ის ადვოკატ კ. პ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის განაჩენი ი. გ-ის მიმართ გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენში ცვლილებების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ

განჩინება

1240-აპ-11

19 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ფ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 დეკემბრის განაჩენით დ. ბ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად გაუნახვერდა და მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით; საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად გაუნახვერდა და მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 9 თვით; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ დ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 3 თვის ვადით.

დ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 29 სექტემბრიდან.

განაჩენით დ. ბ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გასაღების მიზნით დამზადება-გასაღება და გამოყენება;

მანვე ჩაიდინა ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გასაღების მიზნით დამზადება-გასაღება და გამოყენება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: ი/მ «დ. ბ-ა» 1999 წლის 17 ივნისს გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია ფოთის საგადასახადო ინსპექციაში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ¹, ხოლო დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული იყო 2004 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 სექტემბრამდე. ინდმეწარმის საქმიანობის საგანია საბითუმო ვაჭრობა მყარი, თხევადი, გაზირებული საწვავითა და მომიჯნავე პროდუქციით.

2006 წლის ივნისში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, დ. ბ-მ განიზრახა ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის – შესყიდვის აქტის გასაღების მიზნით დამზადება, მათი გასაღება და გამოყენება, რათა მის მიერ ადრე შეძენილი უსაბუთო საქონელი – სამშენებლო ბლოკი კანონიერ ჩარჩოში მოექცია და ბუღალტრული აღრიცხვიანობა მოეწესრიგებინა.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 18 ივნისს დაამზადა შესყიდვის აქტი, რომ თითქოს ფიზიკური პირის – დ. ქ-საგან შეძენილი ჰქონდა 2480 ცალი ბლოკი 2976 ლარად, რაც რეალურად არ განხორციელებულა, ვინაიდან დ. ქ-ს დ. ბ-მ სინამდვილეში გადაუხადა 1500 ლარი. ხსენებული სასაქონლო შესყიდვის აქტი დ. ბ-მ გამოიყენა თავის ბუღალტერიაში, რათა მის მიერ ადრე შეძენილი უსაბუთო საქონელი მოექცია კანონიერ ჩარჩოში და მოეწესრიგებინა ბუღალტრული აღრიცხვიანობა.

დ. ბ-მ 2006 წლის ივნისში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, განიზრახა ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის – შესყიდვის აქტის გასაღების მიზნით დამზადება, მათი გასაღება და გამოყენება, რათა მის მიერ ადრე შეძენილი უსაბუთო საქონელი – მარმარილოს ქვა კანონიერ ჩარჩოში მოექცია და ბუღალტრული აღრიცხვიანობა მოეწესრიგებინა.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 15 ივლისს დაამზადა ერთი ყალბი საანგარიშსწორებო ბარათი – შესყიდვის აქტი, რომ თითქოს ფიზიკური პირის – ე. ჭ-საგან შეიძინა 95 კვ.მ მარმარილოს ქვა, ღირებული 3240 ლარად, რაც რეალურად არ განხორციელებულა, ვინაიდან დ. ბ-ს ე. ჭ-საგან აღნიშნული მარმარილო არ შეუძენია. ხსენებული სასაქონლო შესყიდვის აქტი დ. ბ-მ გამოიყენა ბუღალტერიაში, რათა მის მიერ ადრე შეძენილი უსაბუთო საქონელი მოექცია კანონიერ ჩარჩოში და მოეწესრიგებინა ბუღალტრული აღრიცხვიანობა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. ბ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ფ-მ, რომელიც საჩივრით ითხოვდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 დეკემბრის განაჩენში ცვლილებების შეტანას, კერძოდ: დ. ბ-ს ქმედებების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 210-ე მუხლით

გათვალისწინებულ, ერთ განგრძობად დანაშაულად, სასჯელის შემცირებასა და დანიშნული სასჯელის პირობით მსჯავრად ჩათვლას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განაჩენით უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 დეკემბრის განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ დ. ბ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ფ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 14 მარტის განაჩენში ცვლილებების შეტანას, კერძოდ: დ. ბ-ს ქმედებების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 210-ე მუხლით გათვალისწინებულ, ერთ განგრძობად დანაშაულად, სასჯელის სახით ჯარიმას ან/და დანიშნული სასჯელის პირობით მსჯავრად ჩათვლას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ დ. ბ-ს ბრალდების საქმეში წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც მისი სანდოობის, დასაშვებობისა და შესახებობის თვალსაზრისით საკმარისია დასკვნისათვის, რომ დ. ბ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ასევე დგინდება, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია სრულად, მაგრამ, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, დ. ბ-ს მსჯავრდება ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გასაღების მიზნით დამზადება-გასაღებასა და გამოყენებაში (ორი ეპიზოდი) ემყარება არასწორ დასკვნას, დანაშაულებრივი ქმედების არასწორი კვალიფიკაციით.

საქმის მასალების მიხედვით, დ. ბ-ა იყო ინდემწარმე და მისი საქმიანობის სფეროს წარმოადგენდა საბითუმო ვაჭრობა მყარი, თხევადი, გაზირებული საწვავითა და მომიჯნავე პროდუქციით. 2006 წლის ივნისსა და ივლისში მან განიზრახა მის მიერ ადრე შეძენილი უსაბუთო საქონლის – მარმარილოს ქვისა და სამშენებლო ბლოკის კანონიერ ჩარჩოში მოქცევა, რათა ამით მოეწესრიგებინა წლიური ბუღალტერია. განზრახვის განსახორციელებლად მან დაამზადა 2006 წლის 18 ივნისითა და 15 ივლისით დათარიღებული ყალბი შესყიდვის აქტები, რომ თითქოს ერთ შემთხვევაში დ. ქ-საგან შეძენილი ჰქონდა 2480 ცალი ბლოკი, ღირებული 2976 ლარად, ხოლო მეორე შემთხვევაში – ე. ჰ-საგან შეძენილი ჰქონდა 95 კვ.მ მარმარილოს ქვა, ღირებული 3240 ლარად, რაც რეალურად არ განხორციელებულა. ხსენებული აქტები დ. ბ-მ გამოიყენა თავის ბუღალტერიაში, რათა მის მიერ ადრე შეძენილი უსაბუთო საქონელი მოექცია კანონიერ ჩარჩოში და მოეწესრიგებინა ბუღალტრული აღრიცხვიანობა.

ჩადენილი ქმედებისათვის დ. ბ-ს მსჯავრი დაედო ორი დამოუკიდებელი ეპიზოდის გამო, ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გასაღების მიზნით დამზადება-გასაღებასა და გამოყენებაში (საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, როდესაც მსჯავრდებულმა დ. ბ-მ გადაწყვიტა, დაემზადებინა ორი ყალბი შესყიდვის აქტი, ამომრავებდა ერთიანი მიზანი და საერთო განზრახვა – მოეწესრიგებინა თავისი საწარმოს წლიური ბუღალტრული აღრიცხვიანობა. შესაბამისად, თითოეული შესყიდვის აქტის დამზადებისას მას არ აღძვრია დამოუკიდებელი დანაშაულებრივი განზრახვა, ამიტომ მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს ერთი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ქმედებას. დ. ბ-ს მიერ განხორციელებული ერთი და იმავე ხასიათის ორი დანაშაულებრივი ქმედება შინაარსობრივად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც ერთიანი ჯაჭვის რგოლები, რაც ცხადყოფს, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში სახეზეა სსკ-ის მე-14 მუხლით გათვალისწინებული – განგრძობადი დანაშაული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ დ. ბ-ს სასიკეთოდ, კერძოდ: მსჯავრდებულ დ. ბ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება (ორი ეპიზოდი) უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ერთი ეპიზოდი), რისთვისაც მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად უნდა გაუნახვერდეს და მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 9 თვის ვადით.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ფ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: დ. ბ-ს ქმედებები დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით (ერთი ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად გაუნახვერდეს და მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 9 თვით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენში ცვლილებების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ

განჩინება

1350-აპ-11

12 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. გ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 აგვისტოს განაჩენით ნ. მ-ი დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის მეორე ნაწილით (1995 წელს მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

მასვე დამატებით სასჯელად, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე-42-ე მუხლებისა, დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იმავე განაჩენით ს. ჭ-ე დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის მეორე ნაწილით (1995 წელს მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

მასვე დამატებით სასჯელად, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-42-ე მუხლებისა, დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენით ნ. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მოქალაქეთა პირადი ქონების მიღება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: ნ. მ-ი მუშაობდა რა ქ. ბათუმში, ...-ის ქუჩაზე მდებარე ლომბარდში, კერძოდ, მრავალდარგობრივ ფირმა „კ-ს« მმართველად, 1995 წლის ნოემბერ-დეკემბერში, თავის მოადგილე ს. ჭ-სთან წინასწარი შეთანხმებით, მოქალაქე ე. დ-სგან მიიღო ამ უკანასკნელის კუთვნილი 20 000 აშშ დოლარი, მისთვის ყოველთვიური სარგებლის გადახდის პირობით, თუმცა 1996 წლის მაისში მათ ლომბარდი დახურეს, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ზემოაღნიშნულ თანხას და მიიმალნენ, რითაც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. გ-მა, რომელიც საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 აგვისტოს განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განაჩენით უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 10 აგვისტოს განაჩენი. ამასთან, ნ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა 2011 წლის 11 იანვრიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ნ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. გ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ საქმე განხილულია საპროცესო ნორმების დარღვევით, კერძოდ: ნ. მ-ს მიმართ ძებნა ფაქტობრივად არ განხორციელებულა; არ განახლებულა სისხლისსამართლებრივი დევნა. მის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას; მის ქმედებაში არ არის დანაშაულის ნიშნები, ხოლო სასამართლო თუ მაინც ჩათვლის, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, მაშინ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, უნდა გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. შესაბამისად, კასატორმა ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განაჩენის გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგინდად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ეჭვს არ იწვევდა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებებს მსჯავრდებულ ნ. მ-ს უდანაშაულობისა და მის მიერ განხორციელებული ქმედების სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის თაობაზე და განმარტავს, რომ ნ. მ-ს მიერ თაღლითობის (მოქალაქეთა პირადი ქონების მიღება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით; მრავალდარგოვან, კოოპერატიულ ფირმა «კ-სა» და ე. დ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მათი სანდოობის, დასაშვებობისა და შესახებობის თვალსაზრისით საკმარისია დასკვნისათვის, რომ ნ. მ-მა ჩაიდინა თაღლითობა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით საქმის წარმოებისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ნ. მ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავეს დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ნ. მ-ს მიმართ ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდა, ვინაიდან მას აღკვეთის ღონისძიების სახით 1997 წლის 2 ივნისს შეეფარდა დაპატიმრება და იმავე დღეს გამომძიებლის დადგენილებით მასზე გამოცხადდა ძებნა. ნ. მ-სათვის ცნობილი გახდა, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო ის ფაქტი, რომ ნ. მ-ს მიმართ შეიქმნა სამძებრო საქმე, შედგა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გეგმა და მისი ადგილსამყოფლის დადგენისა და დაკავების მიზნით ხორციელდებოდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, დასტურდება საქმეში არსებული სხვადასხვა მტკიცებულებით: ქ. ბათუმის საგამომიებო განყოფილების გამომძიებელ მ. კ-ს 30.01.98 წლის, 06.02.98 წლისა და 14.08.98 წლის მიმართებით, თ. კ-ს 02.03.1998 წლის მიმართებით, ვ. თ-ს 16.04.1998 წლის მიმართებითა და ვ. ბ-ს 04.08.2001 წლის მიმართებით. შესაბამისად, მსჯავრდებულ ნ. მ-ს მიმართ ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდა 2011 წლის 11 იანვარს, მისი დაკავების მომენტიდან.

რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში იმ გარემოებაზე მითითებას, რომ ნ. მ-ი რომ არ იძებნებოდა, ამ ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ 2001 წელს, საქმისწარმოების ხელმეორედ შეჩერების შემდეგ, არ იქნა გამოყენებული საქართველოს სსკ-ის 443-ე მუხლი და სასამართლომ მის დაუსწრებლად, როგორც ძებნილი პირის მიმართ არ განიხილა საქმე, საკასაციო პალატა ასევე არ ეთანხმება და განმარტავს: განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვის წესი (როდესაც იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას) მოქმედებს 2007 წლის იანვრიდან. შესაბამისად, 1997-დან 2007 წლამდე ნ. მ-ს დაუსწრებლად საქმის სასამართლო განხილვის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. საქმე განსახილველად ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარმართა 2007 წლის 13 ოქტომბერს, ხოლო

არსებითად განხილვა დაიწყო 2009 წლის 3 აგვისტოს ანუ საქართველოს სსკ-ის 443-ე მუხლით გათვალისწინებული წესის ამოქმედების შემდეგ.

საკასაციო საჩივარში დაცვის მხარე ასევე მიუთითებს, რომ შეჩერებული სისხლის სამართლის საქმის განახლება არ მომხდარა და ეს წარმოადგენს საპროცესო მოთხოვნების არსებით დარღვევას.

საქართველოს სსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად: «მოსამართლე და პროკურორი ვალდებული არიან გამოიტანონ დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ, თუ აღმოფხვრილია და აღარ არსებობს ამავე კოდექსის 29-ე მუხლში მითითებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი». საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში შესული ცვლილების თანახმად, ბრალდებულის მიმალვა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი, გაუქმდა. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 394-ე მუხლი სასამართლოსა და პროკურორს აღარ ავალდებულებდა ცალკე დადგენილების გამოტანას სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნ. მ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის მეორე ნაწილით დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმა უნდა მოეხსნას, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის (თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, თუ მან დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, 153-ე მუხლის მე-2 ნაწილი. 1995 წელს მოქმედი რედაქცია) სასჯელის სახით ითვალისწინებდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას, გამასწორებელ სამუშაოებს, ქონების კონფისკაციას და არა – ჯარიმას. ამასთან, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნა იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი კოდექსის შესაბამისი მუხლით არ არის გათვალისწინებული, შესაძლებელია მხოლოდ ახალი – 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების ფარგლებში, 2007 წლის 31 მაისიდან და ვერ გავრცელდება მოცემულ კონკრეტულ დანაშაულზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ნ. მ-ს სასიკეთოდ, კერძოდ: გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ნ. მ-სათვის დამატებით სასჯელად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე-42-ე მუხლების თანახმად, ჯარიმის – 3000 ლარის – დაკისრების თაობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნ. მ-ს ფაქტობრივი დაკავების ზუსტი დრო არის 2011 წლის 10 იანვრის 22:00 საათი, შესაბამისად, მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყო 2011 წლის 10 იანვრიდან.

გასაჩივრებული განაჩენი, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის შესამე ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: ამოირიცხოს მითითება ნ. მ-სათვის დამატებით სასჯელად ჯარიმის – 3000 ლარის – დაკისრების თაობაზე.

ნ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 10 იანვრიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენში ცვლილების შეტანა სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენების გამო

განჩინება

1357-აპ

7 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ზ-ის დამცველის, ადვოკატ შ. შ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის განაჩენით ა. ზ-ი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

ა. ზ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაპატიმრების დღიდან – 2011 წლის 17 მარტიდან.

განაჩენის მიხედვით, ა. ზ-ს მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: 2007 წლის 14 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების გამომძიებელ მ. ზ-ს დადგენილების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა ა. ზ-მა ჩაატარა მ. მ-ის გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. 2007 წლის 21 ივნისს ა. ზ-მა გასცა 113881-539 დასკვნა, რომელშიც ისე, რომ არ ჩაუტარებია გვამიდან აღებული სისხლის ქიმიური გამოკვლევა, აღნიშნა, რომ მასში ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერების კვალი არ აღმოჩნდა. თუმცა მოგვიანებით, მისგან დამოუკიდებლად ჩატარებული ქიმიური გამოკვლევით დადგინდა, რომ მ. მ-ის გვამიდან აღებულ სისხლში აღმოჩნდა ეთილის სპირტი 1,8%-ის ოდენობით, ხოლო შარდში – 3,2%-ის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. ზ-მა და მისმა დამცველმა ადვოკატებმა – შ. შ-ემ და ნ. მ-მ. აპელანტები თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა არასრულად და ცალმხრივად; არასრულად დაიკითხნენ ის პირები, რომელთა ჩვენებებსაც მნიშვნელობა ჰქონდა ჭეშმარიტების დასადგენად; არ მოხდა მოწმის დამატებით დაკითხვა; განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; არსებითად იქნა დარღვეული სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რითაც შეიზღუდა დაცვის მხარის უფლებები; განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს; დამცველი არ იქნა უზრუნველყოფილი საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლებით; დაცვის მხარეს არ მიეცა საკმარისი დრო მხარეთა კამათში მონაწილეობისათვის მოსამზადებლად. ამასთან, მ. მ-ის გვამიდან აღებული სისხლისა და შარდის ნიმუშების ქიმიური გამოკვლევის შედეგს ალკოჰოლის ან ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველობასთან დაკავშირებით, არ შეეძლო გავლენა მოეხდინა და შეეცვალა ა. ზ-ის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული მ. მ-ის სიკვდილის მიზეზი, რასაც წარმოადგენდა გულის ტამპონადა, განვითარებული გულის პერანგის ღრუში ფილტვის ანევრიზმის გასკდომით გამოწვეული სისხლდენით. ვინაიდან მ. მ-ის სიკვდილის მიზეზის დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნდა იმ ფაქტს, გარდაცვალებამდე იმყოფებოდა თუ არა ის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, ექსპერტმა ა. ზ-მა შესაძლებლად მიიჩნია ექსპერტიზის წინაშე დასმულ ყველა სხვა კითხვაზე პასუხი გაეცა და დასკვნა შეედგინა მანამდე, ვიდრე ქიმიური ლაბორატორიიდან მიიღებდა პასუხს გვამიდან აღებულ ბიომასალაში ალკოჰოლის თუ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველობაზე. აღნიშნული პასუხი კი, რომელიც ქიმიური ლაბორატორიის თანამშრომელმა ც. ო-მ ტელეფონით უკარნახა, ისე შეიტანა დასკვნაში, რომ არ დაელოდა შესაბამისი წერილობითი აქტის მიღებას.

ექსპერტ ა. ზ-ის მიერ ხელმოწერილი აღნიშნული საექსპერტო დასკვნა არ იყო დადასტურებული საექსპერტო დაწესებულების ბეჭდით და არ იყო რეგისტრირებული დაწესებულების კანცელარიაში. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს დასკვნის გაცემის ფაქტი, არამედ ექსპერტმა ა. ზ-მა დასკვნა შეადგინა, ხელი მოაწერა და კანცელარიაში ჩააბარა საექსპერტო დაწესებულების უფროსისათვის გასაცნობად გადასაცემად და არა ექსპერტიზის დამნიშნველ პირზე მის გასაცემად.

სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, ასევე გაუქმდეს საქმის განხილვის პროცესში გამოტანილი შემდეგი დადგენილებები: დადგენილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა 2011 წლის 16 მარტს დაცვის მხარის მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებული შუამდგომლობა მოწმე გ. მ-ის დამატებითი დაკითხვის შესახებ; იმავე დღეს, სასამართლო პროცესზე, ადვოკატ შ. შ-ის მიერ დაყენებული შუამდგომლობა – გასცნობოდა მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებულ სასამართლო სხდომის ოქმს. ასევე, 2011 წლის 16 მარტს, სასამართლო პროცესზე, ადვოკატ შ. შ-ის მიერ დაყენებული შუამდგომლობა – კამათში გამოსვლისათვის მოსამზადებლად დაცვის მხარისათვის საკმარისი დროის მიცემის თაობაზე. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ სასამართლო სხდომაზე მოწმეთა დაკითხვა მოხდა საპროცესო კანონით დადგენილი წესის დარღვევით, რაც იმაში გამოიხატა, რომ დაკითხვის პროცესში გამოქვეყნდა მოწმეთა მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, ამასთან, სასამართლომ უსაფუძვლოდ მოუხსნა დაცვის მხარეს მოწმეთა მიმართ დასმული რამდენიმე შეკითხვა. აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად და მათი სრულყოფილი დაკითხვის მიზნით, დაცვის მხარე შუამდგომლობდა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ხელახლა დაკითხვას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. ზ-მა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა შ. შ-მ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 მაისის განაჩენის გაუქმებას და ა. ზ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, აგრეთვე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 16 მარტის შემდეგი დადგენილებების გაუქმებას: დადგენილება მოწმე გ. მ-ის დამატებითი დაკითხვის თაობაზე დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; დადგენილება დამცველისათვის მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებულ სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობის თაობაზე ადვოკატ შ. შ-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; დადგენილება მხარეთა კამათში გამოსვლისათვის მოსამზადებლად დაცვის მხარისათვის საკმარისი დროის მიცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ, იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდათ სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. ზ-ის მიმართ და შეამოწმა მისი დამცველის, ადვოკატ შ. შ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მასში არსებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი მსჯავრდებულ ა. ზ-ის უდანაშაულოდ ცნობისა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე დაცვის მხარის საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო – სამართლებრივი თვალსაზრისით. მართალია, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ა. ზ-ის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისას დაუშვა ისეთი უზუსტობა, რამაც გავლენა მოახდინა საქმის საბოლოო შედეგზე მსჯავრდებულის ინტერესების საზიანოდ, მაგრამ ეს გარემოება არ იძლევა საკმარის და კანონიერ საფუძველს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისათვის.

ა. ზ-ს გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, როგორცაა ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის მიცემა. აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებელი პირი, კანონის მიხედვით, წარმოადგენს სპეციალურ სუბიექტს ანუ ისეთ სუბიექტს, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე აღჭურვილია სპეციალური უფლებამოსილებებით, რის გარეშეც ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეს და აღჭურვილია სპეციალური უფლებამოსილებით – საგამოძიებო ორგანოების დადგენილების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩატაროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ცოცხალ ადამიანებსა და გვამებზე, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შეადგინოს და გასცეს ექსპერტის დასკვნა, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, თავისი ხელმოწერით.

საქმეში არსებული მასალების შესწავლით ირკვევა შემდეგი: 2006 წლის ნოემბერში ა. ზ-ი დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ... სამსახურის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტად და აღნიშნულ თანამდებობაზე ქ. ...-ში მუშაობდა 2007 წლის 21 მაისამდე. 2007 წლის 14 მაისს მას შესასრულებლად დაეწერა ...-ის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს გამომძიებლის დადგენილება გარდაცვლილ მ. მ-ის გვამზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, რის საფუძველზეც მან იმავე დღეს დაიწყო ექსპერტიზის ჩატარება, მაგრამ საბოლოო დასკვნა ვერ შეადგინა

ამ დასკვნაში გარდაცვლილის შინაგანი ორგანოების ჰისტოლოგიური გამოკვლევის შედეგების ამსახველი მონაცემების შეტანის გარეშე, ვინაიდან ასეთი მონაცემები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ცალკე ლაბორატორიული გამოკვლევით.

აღნიშნული გარემოების გამო ა. ზ-ს მოუხდა, დალოდებოდა ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს, რის გარეშეც ექსპერტის საბოლოო დასკვნას ვერ შეადგენდა, რადგან მათ გარეშე არ ჰქონდა ასეთი დასკვნის შედგენის უფლება. მაგრამ 2007 წლის 21 მაისს, ე.ი. მის მიერ დაწყებული ექსპერტიზის დასრულებამდე, მან განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს ოჯახური მდგომარეობის გამო დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით, რაც იმავე დღეს დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ იგი გაემგზავრა თბილისში, თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და ყოფილ სამსახურში აღარ ცხადდებოდა.

დაახლოებით 10-14 დღის შემდეგ ალ. ზ-ი გამოცხადდა ქ. ...-ში, თავის ყოფილ სამსახურში, რათა, მისივე ჩვენებების თანახმად, მის წარმოებაში არსებული საექსპერტო საქმეები გადაეცა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ... სამსახურის უფროსისათვის სხვა ექსპერტებზე გადასაწერად. ამ დროს, მისივე ჩვენების თანახმად, ა. ზ-ი დათანხმდა აღნიშნული სამსახურის იმჟამინდელი უფროსისა და კოლეგების თხოვნას, რომ მის მიერ დაწყებული ზოგიერთი ექსპერტიზა მასვე დაესრულებინა, მათ შორის – მ-ის გვამის ექსპერტიზა. მას ამისათვის ანაზღაურებაც კი არ მოუთხოვია. მისი განმარტებით, მან აღნიშნული სამუშაო შეასრულა სამსახურის უფროსთან ზეპირი შრომითი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა მისთვის, როგორც გამოცდილი სახელმწიფო მოხელისა და ექსპერტისათვის, ცნობილი იყო, რომ საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა ზეპირი შრომითი შეთანხმებით მოხელის და, მათ შორის, ექსპერტის უფლებამოსილებების შექმნის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

მიუხედავად ამისა, 2007 წლის 21 ივნისს ალ. ზ-მა შეადგინა დასკვნა მ. მ-ის გვამზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ ისე, რომ მას შესაბამისი ლაბორატორიული არ ჰქონდა მიღებული ჰისტოლოგიური გამოკვლევის შედეგები სისხლსა და შარდში ნარკოტიკული ან ალკოჰოლური ნივთიერების შემცველობაზე, რის გამოც მან ამ დოკუმენტში შეგნებულად შეიტანა ყალბი ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ მ. მ-ის გვამში ნარკოტიკული ნივთიერება ან ალკოჰოლი არ აღმოჩნდა. მისი განმარტებით, აღნიშნული მონაცემები მას ტელეფონით შეატყობინა ლაბორატორიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რაც სასამართლო გამოძიებით არ დადასტურდა. ამასთან, შემდგომში დადგინდა, რომ ალკოჰოლური ნივთიერების შემცველობის შესახებ მ. მ-ის გვამზე ჩატარებული ჰისტოლოგიური გამოკვლევის შედეგებით სხვა მონაცემები არსებობდა, კერძოდ: მ. მ-ის სისხლში აღმოჩნდა ეთილის სპირტი – 1,8%-ის ოდენობით, ხოლო შარდში – 3,2%-ის ოდენობით. მისი ასეთი მოქმედების მოტივაცია ალ. ზ-მა თავის ჩვენებებში ასე ახსნა: მას ეჩქარებოდა საექსპერტო საქმეების დამთავრება და სურდა დროულად დაბრუნებულიყო თბილისში, თავის საცხოვრებელ ადგილზე, რადგან ქ.-ში ყოფნა მისთვის დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული გარემოება სრულიად სარწმუნოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ა. ზ-ი ხსენებული სამუშაოს შესრულებაში არავითარ ანაზღაურებას არ იღებდა.

ამრიგად, სასამართლო გამოძიებით დადგენილია სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა. ზ-მა ოფიციალური დოკუმენტი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის სახით, შეადგინა მის მიერვე მოგონილი ყალბი მონაცემების საფუძველზე მაშინ, როდესაც მას არავითარი საექსპერტო უფლებამოსილება აღარ გააჩნდა, ხოლო ეს დოკუმენტი, დადასტურებული პირადი ხელმოწერით, ჩააბარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ... სამსახურის კანცელარიას – ...-ის შინაგან საქმეთა სამმართველოს იმ გამომძიებლისათვის გადასაცემად, რომლის დადგენილებით დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მ. მ-ის გვამის გამოსაკვლევად. აღნიშნული ქმედება მან განახორციელა მას შემდეგ, რაც უკვე გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან და ამის გამო აღარ ფლობდა ექსპერტის უფლებამოსილებებს.

სასამართლო გამოძიებით უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სამართლებრივად არასწორად შეაფასა, როგორც ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის მიცემა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ამ დანაშაულის ჩადენა შეუძლია მხოლოდ სპეციალურ სუბიექტს – ექსპერტს, ხოლო ამ ქმედების ჩადენისას ალ. ზ-ი უკვე აღარ იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, რის გამოც მის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის – საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას: გასაღების მიზნით ყალბი ოფიციალური დოკუმენტის – სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის დამზადებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ყალბი დოკუმენტის ოფიციალურ სახელმწიფო ორგანოზე გასხვისების მიზანი, თავისი სამართლებრივი მნიშვნელობით, წარმოადგენს იგივე გასაღების მიზანს, რომლითაც მოქმედებდა ა. ზ-ი. მოცემულ შემთხვევაში ა. ზ-ის მიერ გაცემული ექსპერტის დასკვნის სიყალბე გამოიხატება არა მხოლოდ იმაში, რომ მასში მან შეიტანა ყალბი მონაცემი, არამედ, გარდა ამისა, იმაშიც, რომ აღნიშნული ოფიციალური დოკუმენტი გასცა საამისოდ არაუფლებამოსილმა პირმა, რის გამოც, ამ დოკუმენტის რეკვიზიტებიც, არ შეესაბამებოდა რა სინამდვილეს, იყო ყალბი.

ა. ზ-ის მოქმედების მოტივი ის იყო, რომ რაც შეიძლება სწრაფად გათავისუფლებულიყო იმ საქმისაგან, რომლის გამოც ქ. ...-ში ყოვნდებოდა და არასასურველ მატერიალურ ზარალს განიცდიდა ამ ქალაქში ცხოვრებისათვის საჭირო ხარჯების გაწევით, თანაც ისეთ პირობებში, როცა იგი შესრულებული სამუშაოსათვის არავითარ ანაზღაურებას არ იღებდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ა. ზ-ი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით.

ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, ამ ქმედებით ალ. ზ-მა ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების მცდელობაც, როდესაც გასაღების მიზნით დამზადებული ყალბი დასკვნა ჩააბარა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ... სამსახურის კანცელარიას გამომძიებლისათვის გადასაცემად. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს მცდელობას იმ თვალსაზრისით, რომ: ყალბი დოკუმენტის მიმღები საბოლოო ადრესატი იყო გამომძიებელი, მაგრამ არა ხსენებული სამსახურის კანცელარია, რომელიც მხოლოდ დოკუმენტის შემკვეთისა და შემსრულებლის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა და აღნიშნული დოკუმენტის მიმართ თავისი დამოუკიდებელი ინტერესი არ გააჩნდა; ამასთან, ყალბი ექსპერტიზის დასკვნა არ გასცილებია კანცელარიის ანუ ექსპერტიზის რეგიონული სამსახურის ფარგლებს, ვინაიდან სწორედ აქ იქნა აღმოჩენილი დანაშაული, რომელიც აღიკვეთა მცდელობის სტადიაზე მანამ, ვიდრე იგი დამთავრებულ სახეს მიიღებდა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების სახით. განხილული გარემოებები კი იმაზე მიუთითებს, რომ ალ. ზ-მა ჩაიდინა ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების მცდელობა ანუ საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და იმავე კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ა. ზ-ის ბრალდების საქმეზე განაჩენის დადგენისას დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 564-ე მუხლის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა – სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს განაჩენის შეცვლის საფუძველს. კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2011 წლის 11 მაისს ა. ზ-ის მიმართ გამოტანილ განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ა. ზ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იმავე კოდექსის მე-19 მუხლსა და 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო ჩადენილი დანაშაულისათვის ალ. ზ-ს უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი, ვინაიდან მის მიერ ჩადენილი ქმედებები დაკავშირებულია დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევასთან, რომლებსაც მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლის ერთი და იგივე ნაწილი.

აღნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ ა. ზ-ის მიმართ სასჯელის კონკრეტული ზომის განსაზღვრისას საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ იგი ერთხელ უკვე ნასამართლევეა ყალბი ექსპერტის დასკვნის გაცემისათვის, რომელიც მას ჩადენილი აქვს ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რაც მიუთითებს მისი პიროვნების მომეტებულ საშიშროებაზე, რის გამოც მას ამჯერად უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა – თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. ამასთან, აღნიშნული სასჯელი მას უნდა შეუმცირდეს, კერძოდ, უნდა გაუნახევრდეს ორჯერ: „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე, რის გამოც ა. ზ-ს საბოლოოდ მოსახდელად უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით, რომლის ათვლა უნდა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2011 წლის 17 მარტიდან, ამასთან, მოხდელი სასჯელის ვადაში უნდა ჩათვალოს 4 დღე, რომლის განმავლობაშიც ის იყო დაკავებული – 2008 წლის 12 მაისიდან 2008 წლის 15 მაისამდე.

რაც შეეხება მსჯავრდებულის დამცველის, ადვოკატ შ. შ-ის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს, რაც, მისი აზრით, დაუშვა სასამართლომ საქმის განხილვისას და რამაც გავლენა იქონია საქმის შედეგზე, საკასაციო პალატა მის პოზიციას არ ეთანხმება, რადგან საქმის მასალების შემოწმებით არ დასტურდება სასამართლოს მხრივ რაიმე ისეთი საპროცესო დარღვევის არსებობა, გარდა ამ განჩინებაში აღნიშნული დარღვევებისა, რასაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა კანონიერი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რის გამოც საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ამ ნაწილში ვერ დაკმაყოფილდება. ვერ დაკმაყოფილდება ასევე კასატორის მოთხოვნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი, არაშემაჯამებელი ხასიათის შუალედური დადგენილებების გაუქმების თაობაზე, რადგან ეს არ წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს პრეროგატივას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 568-ე მუხლით და

დაადგინა:

მსჯავრდებულ ა. ზ-ის დამცველის, ადვოკატ შ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა. ზ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე და იმავე კოდექსის მე-19 მუხლსა და 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ხოლო ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რომელიც „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების საფუძველზე გაუნახევრდეს ორჯერ და საბოლოო სასჯელად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით, რომლის მოხდის ათვლა დაეწყოს 2011 წლის 17 მარტიდან; მასვე მოხდელი სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს 4 დღე – მისი დაკავების დრო 2008 წლის 12 მაისიდან 2008 წლის 15 მაისამდე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებებით

განჩინება

1457-აპ-11

13 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – ნ. ჩ-ს, გ. ტ-ს, მ. ა-სა და მათი ადვოკატების – ზ. ნ-სა და ა. კ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის განაჩენით:

1. ნ. ჩ-ი – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და ამავე კოდექსის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის გამოყენებით საბოლოოდ განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა – 12 ათასი ლარი;

2. მ. ა-ი, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებით განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა – 12 ათასი ლარი;

3. გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25-ე, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებით განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა – 12 ათასი ლარი. აღნიშნულ სასჯელს დამატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და გ. ტ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა – 12 ათასი ლარი.

აღნიშნულ მსჯავრდებულებებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2010 წლის 10 მაისიდან.

გარდა ამისა, დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ ხ. ხ-ს შორის. ამ უკანასკნელს საქართველოს სსკ-ის 25-ე, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და 25-ე, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5 ათასი ლარი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის დეკემბერში დაბა ... მცხოვრებმა მ. ა-მ და მისმა ნაცნობმა მ. კ-მ განიზრახეს ... და ... მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, სახელმწიფოს კუთვნილი, 5 ათასი კვ.მ. საკარმიდამო ხუთი მიწის ნაკვეთის

თაღლითურად დაუფლება და მათი კერძო საკუთრებად რეგისტრაცია შესაბამისი უფლების დამდგენი ყალბი დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით.

იმის გამო, რომ მ. ა-ი, როგორც ... მაცხოვრებელი, არ დაფიქსირებულიყო რამდენიმე მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, მისი დავალებით მ. კ-ი დაუკავშირდა ... დირექტორ ხ. ხ-ს და სთხოვა ყალბი დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით დახმარებოდა უძრავი ნივთის დაუფლებაში, რაზეც თანხმობა მიიღო. ხ. ხ-მ თავის თანამშრომლებს – თ. ჩ-სა და რ. შ-ს სხვადასხვა მოტივით გამოართვა პირადობის მოწმობები, რომლებიც თავის მოწმობასთან ერთად ყალბი დოკუმენტის დამზადების მიზნით გადასცა მ. კ-ს, ხოლო ამ უკანასკნელმა – მ. ა-ს. თავის მხრივ, მ. ა-მ დაუდგენელ ვითარებაში მოიპოვა ნ. ბ-სა და მ. ხ-ს პირადობის მოწმობები და მათი გამოყენებით, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირის დახმარებით დაამზადა 1997 წლის 24 დეკემბრით დათარიღებული, ორგანიზაცია «საქქალაქგროსერვისის» მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების ხუთი ყალბი აქტი, რომელთა მიხედვით, ხსენებული ორგანიზაცია ... და ... ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებს თითქოსდა გადასცემდა რ. შ-ს, თ. ჩ-ს, ხ. ხ-ს, ნ. ბ-სა და მ. ხ-ს, თითოეულს – 1000-1000 კვ.მ.-ს.

აღნიშნული ყალბი აქტების ნოტარიალურად დამოწმებული ასლები მ. ა-მ წარუდგინა საჯარო რეესტრის თბილისის სამსახურში მომუშავე გ. ტ-ს, რომელმაც დაამზადა რ. შ-ს, თ. ჩ-ს, ხ. ხ-ს, ნ. ბ-სა და მ. ხ-ს მიერ თითქოსდა ხელმოწერილი განცხადებები საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ. სინამდვილეში, მითითებულმა პირებმა განცხადებებისა და დოკუმენტების წარდგენის შესახებ არაფერი იცოდნენ. 2008 წლის 4 იანვარს გ. ტ-ს მიერ წარდგენილი ყალბი დოკუმენტების საფუძველზე საჯარო რეესტრის სამსახურმა რეგისტრაციაში გაატარა აღნიშნული ხუთი პირის საკუთრების უფლება სახელმწიფოს კუთვნილ 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე. ამის შემდეგ მ. ა-მ მ. კ-ს გადასცა 500 აშშ დოლარი, რაც ამ უკანასკნელმა გაწეული დახმარების სანაცვლოდ გადასცა ხ. ხ-ს.

2009 წლის აგვისტოში ნ. ჩ-მ დაუდგენელ პირებთან ერთად განიზრახა, ყალბი დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით თაღლითურად დაუფლებოდა ... და ... მდებარე 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთებს, მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. მიწის ნაკვეთები, როგორც აღინიშნა, ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული იყო რ. შ-ს, თ. ჩ-ს, ხ. ხ-ს, ნ. ბ-სა და მ. ხ-ს სახელზე. ამ მიზნით ნ. ჩ-მ დაუდგენელი პირის მეშვეობით დაამზადა 2008 წლის 23 იანვრით დათარიღებული და ნოტარიუს დ. ქ-ს სახელით დამოწმებული ყალბი ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებშიც შეიტანა მონაცემები არარსებული გარიგების შესახებ, რომ თითქოსდა აღნიშნულმა პირებმა მათზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები მიჰყიდეს ნ. ჩ-ს. ეს ყალბი ხელშეკრულებები, სხვა დოკუმენტებთან ერთად, ნ. ჩ-მ წარადგინა საჯარო რეესტრის თბილისის სამსახურში, სადაც ეს უკანასკნელი დარეგისტრირდა მიწის ნაკვეთების მესაკუთრედ. 2009 წლის 21 აგვისტოდან 2010 წლის 17 თებერვლამდე ნ. ჩ-მ მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთები გაასხვისა კ. ბ-ზე, გ. გ-ზე, ხ. ბ-ზე, ო. გ-სა და ნ. ხ-ზე, რითიც სახელმწიფოს მიაყენა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

განაჩენი გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – ნ. ჩ-მ, მ. ა-მ და გ. ტ-მ. ნ. ჩ-მ და გ. ტ-მ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა, ხოლო მ. ა-მ – მხოლოდ სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ივლისის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ. ტ-ე და მისი ადვოკატი თავიანთი საკასაციო საჩივრით მოითხოვეს განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე იმ მოტივით, რომ საქმეში არ მოიპოვება თუნდაც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მ. ა-სა და გ. ტ-ს შორის არსებულ შეთანხმებას დანაშაულის ჩადენის თაობაზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ სხვა პირების ნაცვლად განცხადებებს ხელი მოაწერა მ. ასიტაშვილმა და ასეთ შემთხვევაში გ. ტ-ს მიერ დოკუმენტის გაყალბებაზე საუბარი უსაფუძველოა. გ. ტ-ს, როგორც ავტორიზებულ მომხმარებელს, არ ევალებოდა უძრავი ქონების სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადება. მას ევალებოდა მხოლოდ მოქალაქეთათვის კონსულტაციის გაწევა და მათგან აუცილებელი დოკუმენტაციის მიღება სარეგისტრაციო სამსახურში წარსადგენად. კასატორთა მტკიცებით, რეალურად ადგილი ჰქონდა მხოლოდ ამკრძალავი ნორმის გაუცნობიერებლად დარღვევას, რაც დაუდევრობაა და რაც გამორიცხავს დანაშაულში თანამონაწილეობას. გარდა ამისა, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, «ჯგუფურობა», როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება, გ. ტ-ს მხოლოდ მაშინ უნდა შერაცხვოდა, თუ მისთვის ცნობილი იქნებოდა დანაშაულებრივი ჯგუფის არსებობის შესახებ, მაგრამ საქმის მასალებითა და განაჩენის მიხედვით, გ. ტ-სთან ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ მ. ა-ს.

მსჯავრდებული ნ. ჩ-ი და მისი დამცველი ა. კ-ა თავიანთ საჩივრებში მიუთითებენ, რომ 2008 წლის 23 იანვრით დათარიღებული ნასყიდობის ხელშეკრულებებზე ხელმოწერების ვინაობისა და ბეჭდების წარმომავლობის დასადგენად აუცილებელი იყო გრაფიკული და ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება. ნ. ჩ-ს ჩვენებით, მან არ იცოდა მიწის ნაკვეთების უკანონოდ გაყიდვის შესახებ და მას შემდეგ, რაც მ. ა-საგან აღნიშნული შეიტყო, შეწყვიტა ნაკვეთების გაყიდვაც. ნ. ჩ-ს აქტიური თანამშრომლობით შესაძლებელი გახდა დანაშაულში მონაწილე პირთა მხილება, მაგრამ სახელმწიფო ბრალმძებელმა არ აღნიშნა ამის

შესახებ და ნ. ჩ-ს ბრალი დაედო დაუდგენელ პირებთან ერთად დანაშაულის ჩადენაში. ნ. ჩ-ი ვერ აცნობიერებდა თავის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას და როდესაც ამის შესახებ განმარტება მიიღო, ნებაყოფლობით ხელი აიღო მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაგრძელებაზე. სასჯელის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში იყო მისაღები განსასჯელის სამართალდამცავებთან აქტიური თანამშრომლობა და მიღწეული დადებითი შედეგები. სასამართლომ არ იმსჯელა ნ. ჩ-ს პიროვნების მახასიათებელ მონაცემებზე. იგი ხასიათდება დადებითად, არის ხანდაზმული, მარტოხელა დედა და აქვს მძიმე ეკონომიკური პირობები. ამ გარემოებების გათვალისწინებლობამ უარყოფითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე, რამაც გამოიწვია მეტისმეტად მკაცრი და უსამართლო განაჩენის გამოტანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ჩ-ი და მისი ადვოკატი მოითხოვენ პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენების გაუქმებასა და საქმის ახალი სასამართლო განხილვისათვის გაგზავნას ან სააპელაციო პალატის განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

კასატორი – მსჯავრდებული მ. ა-ი საჩივრით მოითხოვს მისთვის ბრალად შერაცხული ყალბი დოკუმენტების დამზადების ეპიზოდში საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები არ დაუმზადებია, ისინი შეიძინა უცნობი პირისაგან და ფლობდა 10 წლის განმავლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულთა მტკიცებას მათი უდანაშაულობის შესახებ, რადგან აღნიშნული არ გამომდინარეობს თავად მათ მიერვე სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებებიდან, კერძოდ:

მ. ა-ი განმარტავს, რომ ხუთივე მიღება-ჩაბარების აქტი გადასცა სხვა პირმა. ეს აქტები იყო ბეჭდვადსმული და ხელმოწერილი და ისინი მ. ა-ს მითითებით «შეავსო» მისივე მეგობარმა გოგონამ, რის შემდეგაც წარადგინა სარეგისტრაციო სამსახურში. ამავე ჩვენებით, მ. ა-მ მოგვიანებით შეიტყო, რომ მიწის ნაკვეთები ყალბი დოკუმენტების საფუძველზე გადაფორმებული იყო ნ. ჩ-ს სახელზე და იგი ასხვისებდა სხვადასხვა პირზე.

თავისი საკასაციო საჩივრის მოტივის საწინააღმდეგოდ, ნ. ჩ-მ სასამართლოს განუმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა მას შემდეგაც, რაც შეიტყო, რომ მიწის ნაკვეთები ყალბი დოკუმენტების გამოყენებით იყო შეძენილი.

გ. ტ-ე აჩვენებს, რომ შეცდა, რადგან დოკუმენტაციის წარმოდგენა მინდობილობის გარეშე დაუშვებელი იყო, მაგრამ მან მაინც მიაწოდა ისინი სარეგისტრაციო სამსახურს. ამავე ჩვენებით, მ. ა-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილი იყო, მაგრამ გ. ტ-ს არ ახსოვს, ვინ მოაწერა ხელი ხუთ განცხადებას – «ალბათ, ხელი მოაწერა მ. ა-მ».

მსჯავრდებულ ხ. ხ-ს ჩვენებით, მან მ. კ-საგან იცოდა, რომ იგი თავის მეგობრებთან ერთად კერძო პირებზე უკანონოდ ახდენდა სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების რეგისტრაციას. ხ. ხ-მ მ. კ-ს გადასცა პირადობის მოწმობები, რაც საჭირო იყო ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად, რის სანაცვლოდ, შეთანხმებისამებრ, მიიღო 500 აშშ დოლარი.

გარდა ამისა, სასამართლოში დაიკითხა არაერთი მოწმე, რომელთა ჩვენებებით და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებული სხვა მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. ამდენად, სააპელაციო პალატის განაჩენი დადგენილია საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით და იგი დასაბუთებულია.

ამასთან, გ. ტ-ე გასამართლებულია 2009 წლის 4 დეკემბერს, რაც სასამართლომ არასწორად მიიჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, ვინაიდან ამ განაჩენის გამოტანის შემდეგ გ. ტ-ს დანაშაული არ ჩაუდენია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი სამიშროება, სრულად არ გამოიკვლია მსჯავრდებულების პიროვნული მახასიათებლები და სასჯელის დანიშვნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაარკვიოს მსჯავრდებულთა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ტ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ზ. ნ-ს, ასევე მსჯავრდებულ მ. ა-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ნ. ჩ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ა. კ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულების – ნ. ჩ-ს, მ. ა-ს, გ. ტ-ს მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენის გაუქმება და საქმის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებებით

განჩინება

1439-აპ-11

14 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. დ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. რ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განაჩენით ვ. დ-ს დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მას დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელები და ვ. დ-ს დაზარალებულ ი. ქ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 11 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ხოლო დაზარალებულ ლ. შ-ს სასარგებლოდ – 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, ვ. დ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დიდი ოდენობით. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 1997 წელს ი. ქ-მ ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე ლომბარდ „უ-ში“, რომელიც ეკუთვნოდათ ვ. დ-სა და ს. ს-ს, შეიტანა 8000 აშშ დოლარი იმ შეთანხმებით, რომ ლომბარდის მეპატრონეებს ყოველი თვის 28 რიცხვში უნდა გადაეხადათ მისთვის თანხის 6%. ლომბარდის მეპატრონეებმა ხელშეკრულების პირობა ვერ შეასრულეს და ი. ქ-ს ვერ გადაუხადეს დათქმული საპროცენტო დანარიცხი, რის გამოც ვ. დ-ს შეჰპირდა მას, რომ თუ შეტანილ თანხას კიდევ დაუმატებდა 3000 აშშ დოლარს, სანაცვლოდ სამი თვის ვადაში გაუფორმებდა ქ. ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე ს. ს-ს მეუღლის – მ. ხ-ს კუთვნილ სამოთხიან ბინას და ამასთან დაკავშირებით გადასცა სათანადო ხელწერილიც. 1998 წლის 21 აპრილს 3000 აშშ დოლარის მიღების შემდეგ, იმავე წლის მაისში, ვ. დ-მ ი. ქ-ს მოტყუებით შეასახლა ზემოაღნიშნულ ბინაში, მაგრამ იგი არ გადაუფორმა, რადგან მის საკუთრებას არ წარმოადგენდა. ბინის მესაკუთრე მ. ხ-მა 2004 წელს, ვ. დ-სა და ს. ს-ს წაქეზებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რის საფუძველზეც ი. ქ-ს ბინიდან გამოასახლეს, ხოლო ვ. დ-ს მიიმალა. ამდენად, ვ. დ-სა წინასწარი შეთანხმებით, ს. ს-სთან ერთად, თაღლითური გზით დაეუფლა ი. ქ-ს კუთვნილ 11000 აშშ დოლარს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

1997 წლის 24 ოქტომბერს ვ. დ-ს, ს. ს-სთან ერთად, არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით, თაღლითური გზით, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ლ. შ-ს კუთვნილ 1000 აშშ

დოლარს, რომელმაც ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე, ვ. დ-სა და ს. ს-ს კუთვნილ ლომბარდ „უ-ში“ შეიტანა 1000 აშშ დოლარი იმ შეთანხმებით, რომ ლომბარდის მეპატრონეებს ყოველი თვის 24 რიცხვში უნდა გადაეხადათ მისთვის თანხის 6%, რაც არ შეასრულეს და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. დ-მ, რომელიც საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ვ. დ-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა. ამასთან, ცვლილება შევიდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განაჩენში, კერძოდ: წარმოება შეწყდა დაზარალებულ ი. ქ-ს სამოქალაქო სარჩელზე, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო. ვ. დ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავების დღიდან – 2011 წლის 17 თებერვლიდან.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ვ. დ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. რ-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 20 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას, ასევე ალტერნატივის სახით განაჩენის გაუქმებასა და საქმის გადაგზავნას ახალი სასამართლო განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით სასამართლო სხდომაზე საჯაროდ ქვეყნდება წინასწარი გამოძიების დროს საქმეზე დართული წერილობითი მტკიცებულებები და საგამოძიებო მოქმედების ოქმები. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქმის არსებითად განხილვისას კანონით დადგენილი წესით არ გამოიკვლია საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები. შესაბამისად, სათანადოდ არ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

მითითებულ საკითხს ყურადღება არც სააპელაციო სასამართლომ მიაქცია და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მტკიცებულებები სრულყოფილად არც მას გამოუკვლევიდა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათი ერთობლიობისა და საკმარისობის თვალსაზრისით.

შესაბამისად, პალატა არ მსჯელობს საკასაციო საჩივრების მოტივებზე, ვინაიდან საქმე ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოში გაგზავნას ახალი სასამართლო განხილვისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. დ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. რ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განაჩენი ვ. დ-ს მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.